შეთანხმება №3 ღ ა ე-200214-02

სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასა" და შპს „ვნვ და კომპანიას" შორის 2013 წლის 9 ოქტომბერს გაფორმებულ #58-091013-01 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი **20 თებერვალი, 2014 წ.**

ერთის მხრივ, სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" (შემდგომში – "შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის ფინანსურ საკითხებში დავით ვარდიაშვილის სახით, რომელიც მოქმედებს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" გენერალური დირექტორის დავით თვალაბეიშვილის მიერ 2014 წლის 14 თებერვალს გაცემული და ნოტარიუს ნანი სიდამონიძის მიერ დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №140131453) და მეორეს მხრივ **შპს „ვნვ და კომპანია"** (შემდგომში – "მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის **ნიკოლოზ კანდელაკის** სახით, იმის გათვალისწინებით, რომ:

- "შემსყიდველსა" და "მიმწოდებელს" შორის 2013 წლის 9 ოქტომბერს დაიდო №58-091013-01 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება, (შემდგომში–ხელშეკრულება), რომელიც ითვალისწინებს სს „საქართველოს რკინიგზის" ვაზიანის სადგურთან არსებული სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" კუთვნილი სარკინიგზო ჩიხის მისასვლელი ლიანდაგის რეაბილიტაციის სამუშაოებზე საავტორო ზედამხედველობის გაწევის შესყიდვას (შემდგომში "მომსახურება")

წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერის გზით შევთანხმდით შემდეგზე:

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" 2014 წლის დირექტორთა საბჭოს #6 დადგენილების და მხარეთა შეთანხმების საფუძველზე #58-091013-01 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. გაიზარდოს მომსახურების გაწევის ვადა 15 კალენდარული დღით და აღნიშნულის გათვალისწინებით ხელშეკრულების 3.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

> 3.1. "მიმწოდებელი" ვალდებულია გაუწიოს "შემსყიდველს" წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული "მომსახურება" სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" კუთვნილი სარკინიგზო ჩიხის მისასვლელი ლიანდაგის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებიდან-დასრულებამდე (სარეაბილიტაციო სამუშაოების პერიოდი შეადგენს 100 კალენდარულ დღეს სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყების დღიდან)

2. გაიზარდოს ხელშეკრულების მოქმედების ვადა და აღნიშნულის გათვალისწინებით ხელშეკრულების 9.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

> 9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 25 აპრილის ჩათვლით.

3. წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ცვლილებები ამოქმედდეს 2014 წლის 20 თებერვლიდან.
4. ხელშეკრულების ყველა სხვა პუნქტი დარჩეს უცვლელი.
5. შეთანხმება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და თითო ეგზემპლარი ინახება მხარესთან.
6. შეთანხმება იურიდიულ ძალას იძენს მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

შემსყიდველი **სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"** მის: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №21 ს/კ: 206237491 საბანკო რეკვიზიტები: სს "საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ა # GE80BG0000000[illegible] **დირექტორი ფინანსურ საკითხებში** დ. ვარდიაშვილი	**"მიმწოდებელი"** **შპს „ვნვ და კომპანია"** მის: ქ. თბილისი, მხატვრის ქ. #2 საიდ. კოდი: 205201841 ტელ: 2 60 08 31; 599 760222. სს "საქართველოს ბანკი" ბ/კ: BAGAGE22 ა/ა GE17BG0000000592444300 **დირექტორი** ნ. კანდელაკი